



არატექნიკური რეზიუმე

საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტი

2022

შინაარსი

| | |
|---|----|
| 1. შესავალი | 3 |
| 2. რას მოიცავს პროექტი? | 3 |
| 3. რისთვისაა საჭირო ენერგოეფექტურობის ღონისძიებები? | 4 |
| 4. რა სარგებელს მოუტანს პროექტი ადგილობრივ მოსახლეობას და ეკონომიკას? | 5 |
| 5. როგორი იქნება პროექტის შესაძლო უარყოფითი სოციო-ეკონომიკური ზემოქმედება? 6 | |
| 6. რა იქნება პროექტის ძირითადი გარემოსდაცვითი ზეგავლენა და როგორ მოხდება მათი შერბილება? | 8 |
| 7. რა ზემოქმედება ექნება პროექტს გენდერულ ასპექტებსა და შეზღუდულ შესაძლებლობებზე? | 10 |
| 8. რა შეიძლება ითქვას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე? | 11 |
| 9. კონტაქტი | 12 |

1. შესავალი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) განიხილავს საქართველოს ფინანსურ უზრუნველყოფას ქვეყნის მასშტაბით არსებული 200-მდე საჯარო შენობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის დაფინანსებისთვის. შემოთავაზებული ინვესტიცია თანადაფინანსებული იქნება ევროკავშირის „სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის“ (NIP) გრანტით. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას. იგი მხარს დაუჭერს სამთავრობო სტრატეგიებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის ენერგიაზე მოთხოვნის და სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებას.

სავარაუდოდ, პროექტი განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ (MDF), რომელიც არის სახელმწიფო ორგანო და პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და მონიტორინგზე.

მოცემული არატექნიკური რეზიუმე (NTS) მოიცავს პროექტის აღწერას და ასახავს პოტენციურ სარგებელსა და ზემოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპზე დაგეგმილი ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებასთან. რეზიუმე ასევე იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შერბილდეს და იმართოს ეს ზემოქმედებები პროექტის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე. გარდა ამისა, რეზიუმეში მოცემულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მომავალი მიდგომის შეჯამება.

2. რას მოიცავს პროექტი?

2.1 პროექტი

2018 წელს, EBRD-მა ჩაატარა სკოპინგის კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელია საინვესტიციო პროგრამის განხორციელება საქართველოს საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაწარმოებლად. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვა ფინანსურად და ეკონომიკურად გონივრულია - განსაკუთრებით კი - ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო შენობებში.

სკოპინგის კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინვენტარიზაცია მოიცავს დაახლოებით 4000 საჯარო მფლობელობაში არსებულ შენობას საქართველოს მასშტაბით. პროექტის ფარგლებში მოხდება ამ შენობებიდან 200-მდე ნაგებობის რეაბილიტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის შერჩეული ის შენობები, რომლებიც პროექტში ჩაერთვება, უკვე ჩამოყალიბებულია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების სავარაუდო ღონისძიებები, რომელიც იქნება შემდეგი:

- ფანჯრების გამოცვლა;
- ფანჯრების აღდგენა;
- კედლების იზოლაცია
- სახურავის/ჭერის/იატაკის იზოლაცია;

- გათბობის სისტემის გაუმჯობესება;
- განათების და სხვა ელექტრომოწყობილობების განახლება და
- რეკონსტრუქცია და სტრუქტურული გაუმჯობესება (როგორცაა, მაგალითად, კედლის და სახურავის შეკეთება).

შემოთავაზებული რეაბილიტაცია ძირითადად ფოკუსირებული იქნება სკოლებზე, თუმცა შესაძლოა მოიცვას სხვა საჯარო შენობებიც.

2.2 პროექტის სტატუსი

პროექტი ამჟამად მომზადების პროცესშია და სამშენებლო სამუშაოები ჯერჯერობით არ დაწყებულია. პროექტისთვის ჯერჯერობით არ მომზადებულა სპეციფიკური მართვის გეგმები და სხვა ფორმალური მართვის სისტემები, რომლებიც ამ კონკრეტული პროექტისთვის უნდა შემუშავდეს. ენერგომომხმარებლის აუდიტი და დეტალური დიზაინი მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის კონსულტანტების მიერ განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მასში ნათლად იქნება განსაზღვრული თითოეული შენობისთვის განკუთვნილი ღონისძიებები (მაგ. რა სისქის თბოიზოლაცია იქნება გამოყენებული, გამოსაცვლელი გათბობის ქვაბები, დასამონტაჟებელი ფანჯრების სპეციფიკაციები და ა.შ.).

განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სოციალური მენეჯმენტის სფეროში ამჟამად არსებული კორპორატიული შეთანხმებების შეფასება. ეს შეფასება და სამოქმედო გეგმები უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესში საჯარო შენობების მომხმარებლების/თანამშრომლების კეთილდღეობასა და მიმდებარე გარემოს სიჯანსაღეს.

3. რისთვისაა საჭირო ენერგოეფექტურობის ღონისძიებები?

საქართველოში 4 000-ზე მეტი საჯარო მფლობელობაში არსებული შენობაა, რომელთა დიდი უმრავლესობა აშენებულია 1950-1990 წლებში. შეფასების მიხედვით, 2 200-ზე მეტი შენობა არასაკმარისად თბება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ბოლო პერიოდში გარემონტდა, შენობების უმრავლესობა რთულ პირობებში რჩება და უკიდურესად არაენერგოეფექტურია. გათბობის მოხმარების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ საჯარო სექტორის შენობები მოიხმარენ დაახლოებით 680 გვტ/სთ-ს წელიწადში და გამოყოფენ 214 000 ტონაზე მეტ CO₂-ს.

ამიტომ, ეს პროექტი აუცილებელია ამგვარი საზოგადოებრივი შენობების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ამ პროცესის განხორციელების შედეგად, სარგებელს მიიღებს ქვეყნის ეკონომიკა, შემცირდება ქვეყნის მოთხოვნა ენერჯიაზე, რის შედეგადაც შემცირდება ჰაერის დამაბინძურებლების და სათბური გაზების ჰაერში გაფრქვევაც.

გარდა ამისა, საქართველოს აქვს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ვალდებულებები ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების კუთხით, მათ შორის, ევროკავშირის 2012 წლის „ენერგოეფექტურობის დირექტივის“ (EED) მიღება. მეტიც,

გაეროსთვის (UN) წარდგენილი „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება ჩვეულებრივი განვითარების პირობებში 15%-ით შეამციროს სათბური გაზების (GHG) გაფრქვევა 2030 წლისთვის. ეს უტოლდება ერთეულ მშპ-ზე ემისიების ინტენსივობის დაახლოებით 34%-ით შემცირებას 2013-დან 2030 წლამდე პერიოდში.

ამჟამად უკვე შემუშავების და დამტკიცების პროცესშია ეროვნული კანონმდებლობა ენერგოეფექტურობის შესახებ, როგორცაა მაგალითად კანონი ენერჯის შესახებ, კანონი განახლებადი ენერჯის შესახებ, განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) წარმოადგენს იმ ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალს, რომელიც ენერგოეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საქართველომ უნდა განახორციელოს შემდეგი 3 წლის განმავლობაში, ენერჯიაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების პარალელურად. ეესგ-ში გაწერილი პოლიტიკისა და ინვესტიციების მიზანია დაეხმაროს საქართველოს 2025 წლისთვის ენერჯის მოხმარების 14%-ით შემცირებაში. ეესგ ეხება ენერჯის ფლანგვას საქართველოს ეკონომიკის ხუთ სექტორში, მათ შორის, საჯარო სექტორში და შენობებში.

ასევე, „მერების შეთანხმების“ ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს 11-მა თვითმმართველმა ერთეულმა და მუნიციპალიტეტმა წარადგინა „მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა“. რაც მათ დაეხმარება პროექტის შემუშავებასა და შენობების შერჩევაში.

4. რა სარგებელს მოუტანს პროექტი ადგილობრივ მოსახლეობას და ეკონომიკას?

შერჩეულ საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ჰაერის დაბინძურების შემცირებას და სათბური გაზების ნაკლებ წარმოქმნას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება გაზრდის ენერგოეფექტური მასალების ბაზრებისა და მომსახურებების განვითარებას საქართველოში. საჯარო შენობების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობას და მათზე მოთხოვნის ზრდას, რაც თანდათანობით ჩამოაყალიბებს მდგრადი და ადგილობრივი ენერგეტიკული მომსახურების კომპანიების ინდუსტრიას. ეს ყველაფერი კი აგრეთვე ხელს შეუწყობს საცხოვრებელი შენობებისთვის განკუთვნილი ენერგოეფექტური სისტემების ბაზრის გაფართოებას და გაუმჯობესებასაც.

პროექტის მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დიდი რაოდენობის თანამშრომლების დასაქმება საჯარო შენობების მიმდებარე დასახლებებიდან, რაც დამოკიდებულია ასევე მათ უნარებსა და ხელმისაწვდომობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის დროებითი სამუშაო, ადგილობრივ მოსახლეობას მიეცემა საშუალება ისარგებლოს დასაქმების შესაძლებლობებით. ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენება შეძლებისდაგვარად მაქსიმალური იქნება.

5. როგორ იქნება პროექტის შესაძლო უარყოფითი სოციო-ეკონომიკური ზემოქმედება და როგორ მოხდება მისი შერბილება?

5.1 მიწასთან დაკავშირებული და ეკონომიკური ზემოქმედება

პროექტის საქმიანობიდან გამომდინარე, არ გახდება საჭირო არც მიწის შესყიდვა და არც მუდმივი ან დროებითი განსახლება ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა.

რადგან თბოიზოლაცია მონტაჟდება საჯარო შენობების გარე ნაწილზე, ზოგიერთ ადგილზე შეიძლება შეიზღუდოს შესასვლელები, რაც ზემოქმედებას მოახდენს, როგორც შენობაში მოძრავ ადამიანებზე, ასევე მეზობელ ბიზნესებზე. მუნიციპალური განვითარების ფონდი დარწმუნდება, რომ დამპროექტებელი კომპანიების მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები მოიცავს ხარაჩოებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რათა შენობის შესასვლელ-გამოსასვლელები ყოველთვის თავისუფალი იყოს, ხოლო ეტლით მოსარგებლეთა პანდუსები - ყოველთვის ხელმისაწვდომი. იმ შემთხვევაში თუ ხარაჩო ხელს უშლის ამჟამად გამოყენებულ სივრცეს, ბიზნესებისთვის მოეწყობა დამატებითი სივრცეები.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო საქმიანობამ შესაძლოა შეაფერხოს პარკინგზე წვდომა, რადგან ეს სივრცე შესაძლოა დასჭირდეს სატვირთო მანქანებს, აღჭურვილობას, მასალებს და კონტრაქტორის საშუალებებს. მუნიციპალური განვითარების ფონდი დარწმუნდება იმაში, რომ უზრუნველყოფილია ალტერნატიული თავისუფალი სივრცე პარკინგისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ შენობა არ ფლობს დიდ გარე სივრცეს, კონტრაქტორი მოითხოვს გარკვეულ საზოგადოებრივ სივრცეს საჯარო შენობის შიგნით, მშენებლობის დროს მასალების განსათავსებლად, მისასვლელის შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, ამის ალბათობა ნაკლებია, რადგან შეფასებული შენობების უმეტესი ნაწილი იზოლირებულია და ფლობს სათავსოებს შენობის გარშემო.

სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი ასევე განხილული და შეთანხმებული უნდა იქნას თითოეული შენობის წარმომადგენელთან. მაგალითად, შენობები, რომლებიც სასწავლებლებს წარმოადგენს, უნდა გარემონტდეს მაშინ, როდესაც მოსწავლეები/სტუდენტები ნაკლებად არიან შენობაში (მაგ. ზამთარში, სააღდგომო ან ზაფხული არდადეგების დროს). დროებითი ადგილმონაცვლეობის საჭიროების შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს, შემდეგი პირობების შესრულებას:

- შენობის წარმომადგენელი (სავარაუდოდ, სკოლის დირექტორი) ხელს მოაწერს შეთანხმებას, რომელშიც მითითებული იქნება შენობა, სადაც მოხდება გადანაცვლება და გრაფიკი, რომელიც წინასწარ იქნა განსაზღვრული და შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დაწესებულების მიერ;
- საჯარო შენობის თანამშრომლებს ხელი შეეწყობათ დროებითი ადგილის მოძებნაში (მაგ. დახმარება მოძებნაში, გადასვლის დროს და სხვა საჭირო ზომები, საჭიროებისამებრ).

5.2 სოციალური ინტერაქცია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება

დროებითი სამუშაო ძალა

მუშახელის ძირითადი ნაწილი დასაქმდება მშენებლობის ეტაპზე, უმეტესად ადგილობრივი კონტრაქტორების მიერ. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დაგეგმილია თანამშრომლების აყვანა ადგილობრივი დასახლებებიდან, რაც დამოკიდებული იქნება მათ უნარებზე. დასაქმების შესაძლებლობები გაჩნდება იმ შემთხვევაშიც, თუ გაიზრდება სარეკონსტრუქციოდ შერჩეული სკოლების ზომა. თუმცა, ეს დამოკიდებულია პროექტის დიზაინზე და შერჩეული შენობის მახასიათებლებზე.

თბოიზოლაციის სახანძრო უსაფრთხოება

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ პროექტისთვის შესყიდული (კონტრაქტორების საშუალებით) თბოიზოლაციის საშუალებები მომწოდებლის მიერ შესწავლილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების კუთხით. გარდა ამისა, დამპროექტებელი კომპანიები მუნიციპალური განვითარების ფონდის წარუდგენენ სახანძრო უსაფრთხოების ანგარიშს, რომელიც მოიცავს გამოყენებული მასალების, საინსტალაციო ტექნიკისა და საერთო დიზაინის სახანძრო უსაფრთხოების შეფასებას.

წნეხი სოციალურ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე

იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ არ ჩატარებულა ენერგომოხმარების აუდიტი, მშენებლობისა და მონტაჟის მიახლოებითი პერიოდი თითოეული შენობისთვის ჯერ არ არის განსაზღვრული. თუმცა, სარეაბილიტაციო სასკოლო შენობების მცირე ზომის და პარალელურად უფრო დიდი შენობების სექციური განახლების გათვალისწინებით, ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებაზე (მაგ. სამედიცინო დაწესებულებები) დიდი ზეწოლა არ არის მოსალოდნელი.

წყალი

პროექტი მოითხოვს წყლის მოხმარების შედარებით დაბალ მოცულობას და მნიშვნელოვნად არ მოახდენს ზემოქმედებას ადგილობრივ წყალმომარაგებაზე.

სამანქანო მოძრაობის უსაფრთხოება და ლოჯისტიკა

მოსალოდნელია სამანქანო მოძრაობის მცირე ზრდა. სამუშაოების დროს შესაძლოა შეიზღუდოს წვდომა ზოგიერთი საჯარო შენობაზე. მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა შეიმუშაოს ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების გეგმა. ამ გეგმაში წარმოდგენილი იქნება ფეხით მოსიარულეებისა და სამშენებლო ტერიტორიის განცალკევებისთვის საჭირო ზომები, რომლებიც დაიგეგმება ისე, რომ ადამიანებს არ შეეზღუდოთ შენობაზე წვდომა. გარდა ამისა, შემუშავდება მშენებლობის ეტაპზე გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა თითოეული შენობისთვის.

6. რა იქნება პროექტის ძირითადი გარემოსდაცვითი ზეგავლენა და როგორ მოხდება მათი შერბილება?

6.1 ნარჩენები

მოსალოდნელია, რომ პროექტი წარმოქმნის მცირე რაოდენობის (მაგრამ არა უმნიშვნელო) ნარჩენებს, მათ შორის შეცვლილ საიზოლაციო მასალას, მინას, გათბობის ქვაბებს, სანიაღვრეებს, კონდიციონერებისა და განათების მოწყობილობებს, ბათქაშს/ფითხს და სხვა. ობიექტზე წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენი განთავსდება წინასწარ შერჩეულ ადგილებზე და მათი განკარგვა მოხდება ლიცენზირებული კომპანიების მიერ. ნარჩენების მართვის ღონისძიებები შეტანილი იქნება კონკრეტული პროექტისთვის შემუშავებულ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის გეგმაში და კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან შეასრულონ ეს მოთხოვნები.

6.2 სხვა მასალები

მოსალოდნელია, რომ 200 შერჩეული შენობიდან რამდენიმეში იქნება აზბესტის შემცველი მასალები (ACMs). ამიტომ, პროექტის დაწყებამდე, შემოთავაზებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩატარდება შესაბამისი გამოკითხვა აზბესტის შემცველი მასალების ადგილმდებარეობის დასადგენად. აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის ზომები შეტანილი იქნება კონკრეტული პროექტისთვის შემუშავებულ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის გეგმაში და კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან შეასრულონ ეს მოთხოვნები.

ადგილზე ასევე წარმოიქმნება რამდენიმე სახის სახიფათო ნარჩენიც (მაგ. პოლისტიროლის პანელები, წებოები, ვერცხლისწყლის შემცველი დიოდური სანათი შლანგები). ისინი მოთავსდება სპეციალურ, დაცულ კასრებში და ობიექტიდან მათ გატანას უზრუნველყოფს ლიცენზირებული კონტრაქტორი კომპანია.

6.3 წყლის გამოყენება და მისი დანაკარგები

საქართველოში წყლის ნაკლებობა არ აღინიშნება. მოსალოდნელია, რომ პროექტის მიმდინარეობას უმნიშვნელო რაოდენობის წყალი დასჭირდება. მიუხედავად ამისა, სადაც შესაძლებელი იქნება, მინიმუმამდე შემცირდება მისი გამოყენება, ხოლო საჭიროების შემთხვევებში, გამოიყენება არა-სასმელი წყალი. ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება მხოლოდ კონტრაქტორების მიერ და მისი მართვა მოხდება ობიექტისთვის შედგენილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შესაბამისად.

6.4 ბიომრავალფეროვნება

დაცული ტერიტორიები: ის საჯარო შენობები, რომლებსაც აღნიშნული პროექტი მოიცავს, არ მდებარეობენ ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით დაცულ, ზურმუხტის ზონის მსგავს ტერიტორიებზე.

ხეები: შერჩეული საჯარო შენობების სიახლოვეს (განსაკუთრებით ძველად აშენებული ნაგებობების), შესაძლოა გარკვეული რაოდენობით იყოს ისეთი ხეები, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობა იცავს. ამიტომ, ამ შენობების ირგვლივ ხარაჩოების განლაგება მოხდება განსაკუთრებული სიფრთხილით ისე, რომ არ დაზიანდეს ახლომდებარე ხეები. გარდაუვალი საჭიროების დროს, კონტრაქტორმა უნდა აიღოს ხეების მოჭრის ნებართვა.

დამურები: დამურები შესაძლოა ბუდობდნენ ძველი შენობების სხვენებში. თუ მათი არსებობა დასტურდება, კომპანია დაიქირავებს დამურების სპეციალისტს, რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს იმგვარ გეგმას, რომ პროექტმა ზიანი არ მიაყენოს მათ კოლონიებს.

6.5 ვიზუალური ზემოქმედება

პროექტი თბოიზოლაციით ესთეტიკური კუთხით გააუმჯობესებს დაახლოებით 200 საზოგადოებრივ შენობას, ზოგიერთ შემთხვევაში კი მოხდება მათი კონტრუქციული გაუმჯობესებაც. ახლად აშენებული (1970-1990 წლებში) ნაგებობების თბოიზოლაცია შეილესება და შეიღებება, რაც მათ გარეგნულ იერსაც გააუმჯობესებს.

ეროვნული კანონმდებლობით დაცულ ძველ შენობებში, ენერგოეფექტურობის ღონისძიებები დიდი სიფრთხილით გატარდება. მუნიციპალური განვითარების ფონდი უზრუნველყოფს, რომ ამ შენობების იერსახის შესაცვლელად კონტრაქტორმა მოიპოვოს შესაბამისი ნებართვები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან (და საჭიროების შემთხვევაში თბილისის მერიისგან).

6.6 სამშენებლო მტვერი და ხმაური

ობიექტზე მოსალოდნელია ჰაერის მცირე დაბინძურება და ხმაური. მცირე რაოდენობის მტვერი წარმოიქმნება შენობების გარედან გაუმჯობესებული თერმული იზოლაციის დამონტაჟების დროს, თუმცა პროცესი გაკონტროლდება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მიხედვით.

6.7 სამშენებლო ტექნიკის და ტრანსპორტის მოძრაობა

სავარაუდოდ, პროექტის საქმიანობა გავლენას მოახდენს ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლაზე, რადგან ზოგიერთ შენობას განსაკუთრებით საქალაქო ტიპის დასახლებებში, შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული რაოდენობის მისასვლელი გზები და სატვირთო მანქანებისთვის/მიკროავტობუსებისათვის საჭირო პარკინგის ადგილები. გარდა ამისა, შერჩეულ 200-მდე შენობაში, შესაძლოა არსებობდეს სამედიცინო და სხვა გადაუდებელი საჭიროების დაწესებულებები. სასწრაფო დახმარების, პოლიციის მანქანები საჭიროებენ მუდმივ წვდომას ამ შენობებთან.

სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირების ღონისძიებებს შეიმუშავებს დამპროექტებელი კომპანია და ისინი შეტანილი იქნება კონკრეტული პროექტისთვის შეიმუშავებულ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის გეგმაში. კონტრაქტორი უზრუნველყოფს მუდმივ და შეუზღუდავ სამანქანო წვდომას საავადმყოფოებსა და პოლიციის განყოფილებებზე და მინიმუმ ერთ თავისუფალ სამანქანო შესასვლელ/გასასვლელს სხვა ყველა შენობისათვის.

6.8 გათბობის ქვების გამონაბოლქვები

როდესაც შეირჩევა გათბობის ქვები და დამონტაჟდება შესაბამის შენობებში, მუნიციპალური განვითარების ფონდი უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული შესაბამისობაშია ევროკავშირის გამონაბოლქვების სავალდებულო რეგულაციებთან. გამოყენებული იქნება საშუალო წვის დანადგარის დირექტივა (MCPD) და დირექტივები მცირე ზომის ქვებისთვის. ქვების დემონტაჟის შემთხვევაში, მისი განკარგვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

7. რა ზემოქმედება ექნება პროექტს გენდერულ ასპექტებსა და შეზღუდულ შესაძლებლობებზე?

ქართული კანონმდებლობა, ისევე, როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკა ადგენს თანასწორობის უფლებას ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

არასაკმარისი განათება შესასვლელებში, ავტოსადგომებთან და შენობებისკენ მიმავალ საზოგადოებრივ ბილიკებზე, საშიშია, განსაკუთრებით ქალებისთვის. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს, რომ თავად შენობა, ავტოსადგომი და ქუჩის განათება სრულად ფუნქციონირებდეს ყველა ადგილზე, გენდერული ძალადობისა და შევიწროების პრევენციისათვის. LED-განათება გამოიყენება, როგორც ენერგოეფექტურობის ერთ-ერთი ზომა, რომელიც ამავდროულად გააუმჯობესებს ქალებისა და გოგონების დაცულობას.

როდესაც პროექტში კონსტრუქციული გაუმჯობესება ხორციელდება, დიზაინი შემუშავდება გენდერულად მგრძობიარე ფორმით, როგორცაა მაგალითად საპირფარეშოებისა და გამოსაცვლელი ოთახების უზრუნველყოფა მომსახურებით მოსარგებლე და ადგილზე დასაქმებული ქალებისათვის.

პროექტი აგრეთვე მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობას. დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს პანდუსებს ეტლებისათვის, საპირფარეშოების შესაბამისად მოწყობასა და არათანაბარი ზედაპირების გარემონტებას, რადგან ისინი პოტენციურ საფრთხეს შეიცავენ ცუდი მხედველობის მქონე პირებისა და ეტლით მოსარგებლეთათვის.

სპეციალისტი შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებში იმუშავებს პროექტის ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების საკითხზე.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოწყვლადი ჯგუფების (ქალებისა და შშმპ-ს ჩათვლით) მოსაზრებების გათვალისწინება, პროექტირების ეტაპზე გაიმართება მიზნობრივი კონსულტაციები და განხილვები ფოკუს ჯგუფებთან.

8. რა შეიძლება ითქვას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე?

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ითვალისწინებს საკონსულტაციო შეხვედრებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის დაწყებამდე, ისევე, როგორც პროექტის განხორციელების დროს. კონსულტაციისა და ჩართულობის სხვადასხვა ღონისძიებები საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა ამჟამინდელ წინადადებების, იდეებისა თუ შენიშვნების გასათვალისწინებლად.

გამოვლენილია შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- პროექტის აქციონერები / შიდა დაინტერესებული მხარეები (მუნიციპალური განვითარების ფონდი);
- შენობის მესაკუთრეები / მმართველები;
- ნებართვების გამცემი ორგანოები / ადგილობრივი სამთავრობო უწყებები;
- საზოგადოებები და ბიზნესები ასეთის არსებობის შემთხვევაში (საზოგადოების წევრები, რომლებიც მუშაობენ ან სტუმრობენ შერჩეულ საზოგადოებრივ შენობებს);
- მოწყვლადი ჯგუფები (არსებობის შემთხვევაში და საჭიროებისამებრ), რომელთა განსაზღვრაც მოხდება შენობების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრების პროცესში;
- შენობის წარმომადგენლები (მაგ. დაწესებულების მმართველები);
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- კონტრაქტორები;
- მშენებლობის მუშახელი;
- დიზაინის ინჟინერი / ენერგოეფექტურობის სპეციალისტი;
- საზედამხედველო კომპანია/კომპანიები;
- ნებართვების გამცემი ორგანოები, ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; და
- სესხის გამცემი ორგანიზაცია.

აღნიშნული პროექტისათვის, მუნიციპალური განვითარების ფონდს ჯერჯერობით არ გაუმართავს საჯარო კონსულტაციები და ჩართულობის სხვა ღონისძიებები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შექმნილია იმისთვის, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა/პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ საკუთარი რესურსები მიმართოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისკენ, ჩამოთვლილი ღონისძიებების გზით:

- მუნიციპალური განვითარების ფონდის შეხვედრები ზედამხედველ კომპანიასთან/კომპანიებთან და კონტრაქტორებთან გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე;
- შენობის წარმომადგენლებთან შეხვედრები;
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენობებით მოსარგებლებთან შეხვედრები;
- ქალებისა (საჭიროებისამებრ) და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ფოკუს-ჯგუფები;

- ციფრული მედიის ჩართულობა და
- შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა უზრუნველყოფს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა პირისა და დაინტერესებული მხარის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოთხოვნები და მოსაზრებები გაგებული და გათვალისწინებული იქნას პროექტის შემუშავებისა და შესრულების პროცესში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მგფ-ს საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის შესახებ, რომელშიც განმარტებული უნდა იქნას თუ როგორ არის შესაძლებელი საჩივრების კომპანიამდე მიტანა სიტყვიერად ან წერილობით, ან საჩივრის ფორმის შევსების მეშვეობით.

9. კონტაქტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებისთვის საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია და მასზე პასუხისმგებელი პირი იხილეთ ქვემოთ:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF)

მისამართი: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული

ტელეფონი: (99532) 2437001; 2437002; 2437003; 2437004

ფაქსი: (99532)2437077

Email: mdf@mdf.org.ge